ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის

გადაწყვეტილება №2

2017 წლის 12 სექტემბერი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის გრაფიკის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის გრაფიკი, თანახმად დანართისა.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

კომისიის თავმჯდომარე ზვიად ბუკია

დანართი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის გრაფიკი

№	გასატარებელი ღონისძიება	გასატარებელი ღონისძიების ვადა	პასუხისმგებელი ორგანო/პირი
1.	კონკურსში მონაწილეობისთვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და საკონკურსო კომისიისთვის წარდგენა	13.09.2017-26.09.2017	ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი
2.	განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის (კონკურსის პირველი ეტაპის) შედეგების განხილვა და დამტკიცება	27.09.2017-03.10.2017	საკონკურსო კომისია
3.	კანდიდატებისთვის კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეტყობინება	04.10.2017-10.10.2017	ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი
4.	კონკრეტული კანდიდატის მხრიდან საჯარო სამსახურის ბიუროსთვის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მოთხოვნით მიმართვისა და ბიუროს მხრიდან განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, ამ კანდიდატის მიმართ სათანადო გადაწყვეტილების მიღება	18.10.2017-201.10.2017	საკონკურსო კომისია
5.	კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვებულ კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე	11.10.2017-17.10.2017	ადმინისტრაციული სამსახური
6.	კონკურსის მეორე ეტაპი	11.10.2017-23.10.2017	საკონკურსო კომისია
7.	კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების შეჯამება და განხილვა-დამტკიცება	24.10.2017-30.10.2017	ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, საკონკურსო კომისია
8.	კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების შეტყობინება კანდიდატებისთვის	02.11.2017-06.11.2017	ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი
9.	კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებთან და შედეგებთან დაკავშირებით შემოსული პრეტენზიებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით საპრეტენზიო კომისიის განხილვის შედეგების განხილვა	07.11.2017-14.11.2017	საკონკურსო კომისია